



თბილისის ღია სასწავლო
უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის საქმიანობის წლიური ანგარიში

(2017-2018 სასწავლო წელი)

სამსახურის აქტივობები	შესრულების მდგომარეობა
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესისათვის მომზადება	იმპლემენტირებულია საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99 ბრძანების „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების

	<p>შესახებ“ შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები</p>
<p>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თვითშეფასებაზე მომუშავე ჯგუფის მუშაობის კოორდინირება</p>	<p>ჯგუფი ჩამოყალიბებულია; დავალებები ჯგუფის წევრთა შორის გადანაწილებულია; ჯგუფის შეხვედრები ორგანიზებულია; უკუკავშირი მიღებულია</p>
<p>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმაში არსებული მდგომარეობის აღწერა.</p>	<p>თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სიტუაციის ანალიზი, დასკვნები, გაუმჯობესების გზები იდენტიფიცირებულია. სტანდარტის შესაბამისად ძლიერი და გაუმჯობესებელი მხარეები ჩამოყალიბებულია</p>
<p>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თვითშეფასების ასპექტების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა</p>	<p>საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან, აკადემიურ/მოწვეულ/სამეცნიერო პერსონალთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებულია</p>
<p>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმის და დასართავი დოკუმენტაციის სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა</p>	<p>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმა და დასართავი დოკუმენტაცია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილია</p>
<p>სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ორგანიზება</p>	<p>შემუშავდა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და შეიქმნა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე მომუშავე ჯგუფი; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსია მიეწოდა ყველა დაინტერესებულ პირს, მათთან გაიმართა შეხვედრები და მიღებულ იქნა უკუკავშირი; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცდა აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ და განთავსდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე</p>
<p>სამართლებრივი დოკუმენტაციის შემუშავება</p>	<p>ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების, უნივერსიტეტში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად შემუშავდა</p>

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფა/მოდულიზაცია; პროგრამების გაუქმება

ახალი რეგულაციები, განხორციელდა არსებულ რეგულაციებში ცვლილებების და დამატებების შეტანა

საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინების, შრომის ბაზრის და სტუდენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების, დარგის მიმართულებით არსებული სიახლეების პროგრამაში ასახვის და საგანმანათლებლო პროგრამის სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით უზრუნველყოფის მიზნით პროგრამების მოდიფიცირება განხორციელდა სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ: შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დასაწყისში. პროგრამების მოდიფიცირება განხორციელდა ფორმალური მოთხოვნების სრული დაცვით.

უნივერსიტეტის 32 აკრედიტებული პროგრამიდან საავტორიზაციო განაცხადში მოხვდა 15 პროგრამა. დანარჩენი პროგრამები, როგორც ნაკლებად კონკურენტუნარიანი და ნაკლებად მოთხოვნადი, იქნა გაუქმებული, რის შესახებ ეცნობა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება

პროგრამის კატალოგი განახლდა საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების საფუძველზე და განთავსდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე

აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადება

სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად უნივერსიტეტმა ღია კონკურსი გამოაცხადა ორჯერ. პირველი კონკურსი დასრულებულია და შედეგები გამოქვეყნებულია, მეორე კონკურსი გამოცხადებულია, შედეგები გამოქვეყნდება ახალი სასწავლო წლის დასაწყისში. კონკურსი ცხადდება პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე სამართლის, სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირების და ჯანდაცვის მიმართულებით

სტრუქტურის ცვლილება

სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სტრუქტურული ცვლილებები:

ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მმართველობითი საბჭოს გადაწყვეტილებით „პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს“ ჩამოცილდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილება და გაერთიანდა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრის ქუდის ქვეშ, რის გამოც შეიცვალა ამ უკანასკნელის ფუნქციები და სახელწოდება. ცენტრს ეწოდა „**უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის ცენტრი**“;

მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით შეიცვალა სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება მმართველი რგოლებისადმი, რაც აისახა სტრუქტურული ერთეულების დებულებაში, უნივერსიტეტის დებულებაში და განახლებულ სტრუქტურაში; შეიქმნა ახალი სამტატო ერთეული - **ვიცე-რექტორი**;

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი მიზნები, არსებული გარემოსა და შესაძლებლობების, უნივერსიტეტის ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, აღარ მოიაზრებდა რეგიონებში სასწავლო პროცესის განხორციელებას, რის საფუძველზეც გაუქმდა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - **ქუთაისის ჟურნალისტიკისა და ფილოლოგიის სკოლა**;

ოპტიმიზაციისა და სასწავლო სამეცნიერო პროცესების მართვის ეფექტურობის მიზნით, გაუქმდა ინჟინერიის სკოლა და ბიზნესის სკოლას ეწოდა „**ბიზნესის და ინჟინერიის სკოლა**“;

საგანმანათლებლო საქმიანობის, საკანონმდებლო რეგულაციების ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევის და მისი ამაღლების ხელშეწყობის მიზნით უსდ-ში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული „**სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი**“

სტუდენტთა მობილობა

უნივერსიტეტი მობილობის პროცესში ერთვება ყოველწლიურად, წელიწადში ორჯერ. განხორციელდა ზამთრის შიდა და გარე მობილობა, ყველა პროცედურული დეტალის გათვალისწინებით. დადგინდა და გამოცხადდა კვოტები, მომზადდა შესაბამისი შედარების აქტები და გადაწყვეტილებები. სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია შედეგების შესახებ. იგივე პროცედურებით ხორციელდება ზაფხულის მობილობა

უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება

განხორციელდა:
ჟურნალისტიკის ლაბორატორიის აღჭურვა
OSCE-ს უზრუნველყოფა

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე აბიტურიენტთა მისაღებად ანკეტა-კითხვარის წარდგენა

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე განაცხადების გაკეთება უნივერსიტეტის მიერ ხორციელდება ყოველწლიურად, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში. 2017-2018 სასწავლო წელს ინფორმაცია შევსებული ანკეტა-კითხვარის სახით (როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო) გადაეგზავნა სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის - emis სრულყოფა

სტუდენტთა და პერსონალის ინტერესების გათვალისწინებისა და სასწავლო პროცესის ეფექტური წარმართვის მიზნით უნივერსიტეტში მოქმედ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემას დაემატა ფინანსური მოდული, გაჩნდა სასწავლო კურსების პროგრამის მეშვეობით არჩევის შესაძლებლობა და გაზაფხულის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია სტუდენტებმა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის - emis - მეშვეობით გაიარეს. განახლდა პროგრამის მეშვეობით სტუდენტებისათვის ონლაინკონსულტაციის გაწევა, უზრუნველყოფილ იქნა ელექტრონულად გამოცდების ჩატარება. ელექტრონულ სისტემას დაემატა გამოკითხვების მოდული ყველა რგოლისთვის და გამოკითხვების მოდულის რეპორტიინგი, ასევე დაემატა სტუდენტის პირად გვერდზე საგანმანათლებლო პროგრამების მოდული, სადაც სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს ჰქონდეს ხელმისაწვდომობა საკუთარ საგანმანათლებლო პროგრამასთან. შეიქმნა ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა, რომელმაც ხელი შეუწყო

უნივერსიტეტის მართვაში ახალი პროგრამის - task manager - გამოყენება

პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა ანკეტირება, შედეგების ანალიზი და სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, მათი გათვალისწინება და მონიტორინგი

ადმინისტრაციულ პერსონალს შორის ელექტრონული დოკუმენტაციის ბრუნვას, ასევე შესაძლებელი გახდა სტუდენტისთვის ელექტრონულად სასურველი განცხადების დაწერა და ელექტრონულადვე პასუხის დაბრუნება. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ დაიწყო მომსახურების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლის პროცესი. მიმდინარეობს კატალოგისა და წიგნების მოძრაობის გადატანა შიდა ელექტრონულ პროგრამა emis-ში. ამ ეტაპისთვის გადატანილია კატალოგის დაახლოებით 40% და წიგნების მოძრაობის 80 % ახალ პროგრამაში. დასრულება დაგეგმილია 2019 წლისთვის.

მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის პარალელურად, სატესტო რეჟიმში გაშვებულ იქნა ახალი პროგრამა - task manager - რომელიც ამარტივებს საქმისწარმოების განხორციელებას და შესრულების მონიტორინგს

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასების, სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის, მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მიზნით განხორციელებული სხვადასხვა სახის გამოკითხვების ჩატარების და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რიგი პრობლემები საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალის კვალიფიკაციის, სერვისების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსების, ინტერნაციონალიზაციის პროცესის და სხვა მიმართულებით. პრობლემების აღმოფხვრის მიზნით შემუშავდა და აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატს წარედგინა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების შედეგად პრობლემების უდიდესი ნაწილი მოგვარებულია (დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამები, გამოცხადდა აკადემიური კონკურსები, პროგრამების განხორციელებაში ჩაერთო უცხოელი პერსონალი, გატარდა კვლევითი საქმიანობის გააქტიურებისკენ მიმართული

ბიბლიოთეკის ფონდის შევსება და გადამუშავებული სილაბუსებით დადგენილი ძირითადი ლიტერატურის შექმნა, ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შესაძლებლობის გაზრდა

ღონისძიებები, გაუმჯობესდა საბიბლიოთეკო სერვისები და შეივსო ფონდი, დაიხვეწა სასწავლო პროცესის მართვის ელ. სისტემა, მოხდა პროგრამების ადეკვატური მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა, განხორციელდა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, ხოლო მცირე ნაწილის მოგვარება დადგა დღის წესრიგში (ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების აღნერგვა, პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესზე ადკვირების მექანიზმების ეფექტურად გამოყენება)

ამჟამად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი შედგება 14902 როგორც ბეჭდური, ასევე, ციფრულ მატარებელზე ჩაწერილი ერთეულისგან. ფონდის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელოს და შეესაბამება პროგრამებისა და სილაბუსებით გათვალისწინებულ სახელმძღვანელო რესურსებს. გასულ წელთან შედარებით საბიბლიოთეკო ფონდი გაიზარდა 791 ერთეულით.

მოხდა სახელმძღვანელოთა რიდერების დამზადება სილაბუსების მიხედვით.

ბიბლიოთეკამ უზრუნველყო დროებით ღია წვდომის შესაძლებლობა ისეთ ბაზებზე, როგორცაა:

Proquest ebook collection <https://ebookcentral.proquest.com/lib/touge/home.action> (5 თებრვლიდან - მარტის ჩათვლით);

Project Muse <http://muse.jhu.edu/> (1 მარტი-14 აპრილი);

Routledge handbooks online <https://www.routledgehandbooks.com/institutional-signin> (3 აპრილი - 3 მაისი);

Ebsco E journals Legal Source and eBook Academic Collection (13 მაისი - 11 ივნისი)

ბიბლიოთეკის სოციალურ-კულტურული აქტივობის ამაღლება

მიმდინარე წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში:

ვებ-გვერდის სრულყოფა და სისტემატური განახლება

- 28 მარტს დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის აღსანიშნავად მოეწყო კინო-ჩვენება ფილმისა „მეც“ (2009), რეჟისორი - ანტონიო ნაჰარო, ალვარო პასტორი. გაიმართა დისკუსია თემაზე: ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა - მიღწევები, გამოწვევები: ქართული გამოცდილების ანალიზი.
- 24 მაისს ჩატარდა ქართული სახელმწიფოებრიობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ესეების კონკურსი.

დასრულდა ახალი ვებგვერდის შექმნა. განხორციელდა ვებგვერდის მონიტორინგი და გასწორდა შეცდომები. სიახლეების და განხორციელებული ცვლილებების კვალდაკვალ მოხდა ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის განახლება, დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

უნივერსიტეტში სტუდენტური სასწავლო- სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება

სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსებით ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. 2017-2018 სასწავლო წელს კონფერენციაში „სტუდენტური მეცნიერება 2018“ მონაწილეობა მიიღო სამართლის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებმა. სამართლის სკოლა კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო სამი სტუდენტით, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა - 9 სტუდენტით, ხოლო ბიზნესის და ინჟინერიის აკოლა - 5 სტუდენტით. გამოვლინდა გამარჯვებულები. გამარჯვებული სტუდენტების ნაშრომები იბეჭდება უნივერსიტეტის შრომათა კრებულში

უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება

უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია სახელწოდებით "ნაპოლეონი და ევროპა". კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის სორბონის უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის და მე-19 საუკუნის კვლევითი ცენტრის დირექტორმა ჟაკ ოლივიე ბუდონმა.

ჩატარდა პოლონურ-ქართული მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია სამართლის ისტორიაში.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში

პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საქართველოს ავტორიზებულ უნივერსიტეტებთან და დამსაქმებლებთან

თოუ-ს და ლანჟოუს უნივერსიტეტების ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ერთი გზა ერთი სარტყელის გლობალური პერსპექტივები“. კონფერენციის მასალები გამოიცა ჟურნალის სახით (სულ 14 სამეცნიერო ნაშრომი)

1. ს. მორალიშვილი: Modern Technologies in Teaching Analytical Reading აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, VIII საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, 2017
2. ს. მორალიშვილი: Blogging in Teaching English in Georgia, Second International Conference, Higher Education – New Technologies and Innovations, ATSU, 017

საანგარიშო პერიოდში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

უსდ	მემორანდუმის გაფორმების თარიღი	მემორანდუმის ვადის გასვლის თარიღი
სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი	25.10.2017	უვადო
შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია	05.04.2018	05.04.2022

პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

სასწავლო/სამეცნიერო/პრაქტიკული მუშაობის მხარდამჭერი ობიექტების ქსელის გაფართოება

კერძო/საჯარო ორგანიზაციები	მემორანდუმის გაფორმების თარიღი	მემორანდუმის ვადის გასვლის თარიღი
შპს „ბიოაგრო“	13.03.2018	13.03.2019
შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“	22.12.2017	31.12.2018
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	15.05.2018	უვადო
ა(ი)იპ „საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემია“	29.05.2018	უვადო
აიიპ-ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრი	17.10.2017	უვადო
აიიპ-საქართველოს საერთაშორისო განვითარების ასოციაცია	16.11.2017	უვადო
თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	10.10.2017	10.10.2022

ჯანდაცვის მიმართულების პროგრამების ფარგლებში სასწავლო, სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით კლინიკური ბაზების არსებულ სიას შეემატა 4 ახალი მულტიპროფილური საავადმყოფო.

სამართლის მიმართულების პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ასევე ბათუმის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებთან.

ბოლონის პროცესის მონაწილე უცხო ქვეყნების უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის წარმართვა, სტუდენტთა და პედაგოგთა მობილობის პროცესის ხელშეწყობა

უნივერსიტეტმა დაიწყო თანამშრომლობა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან, ასევე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-თან“

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სტუდენტების და პერსონალის ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნით თანამშრომლობს სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. საანგარიშო პერიოდში საფუძველი ჩაეყარა თანამშრომლობას შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

უსდ	მემორანდუმის გაფორმების თარიღი	მემორანდუმის ვადის გასვლის თარიღი
მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტი (The philipps University of Marburg)	2017 წელი	უვადო
ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამართლის სკოლა (Tallinn law school of Tallinn university of technology)	15.12.2017	15.12.2022
ნიუ ჯერსი სიტი უნივერსიტეტი (აშშ) (New jersey city university U.S.A)	02.19.2018	02.19.2023
ნიქოზიის უნივერსიტეტი (კვიპროსი) (University of Nicosia)	06.12.2017	06.12.2022
რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტი (University of Rome Tor Vergata)	20.05.2018	20.05.2023

კვლევითი პროექტების განხორციელება აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობით

თოქს ბიზნესის სკოლის პროფესორ-მასწავლებლების სიას დაემატა ლანჭოუს უნივერსიტეტის (ჩინეთი) 2 პროფესორი, რომლებიც პერიოდულად ლექციებს წაიკითხავენ ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის მიმართულებით.

პროგრამა ISET-ის ფარგლებში 1 სტუდენტი გაიგზავნა იტალიაში სასერტიფიკატო კურსზე.

2018 წლის სექტემბერში 2 სტუდენტი მიემგზავრება ლანჭოუს უნივერსიტეტში 1 წლიანი სასწავლო პროგრამით ამ უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საუბველზე, რომელიც, სხვა პუნქტების გარდა, ასევე გულისხმობს სტუდენტების მობილობას.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის საანგარიშო პერიოდის დასრულებული კვლევითი პროექტები:

1. თბილისი მერიის დასუფთავების სამსახურის სპეციალური ავტომანქანების მოძრაობის ოპტიმალური მართვის კომპიუტერული პროგრამების შედგენა და დანერგვა (პროექტის ხ-ლი - გ. ჭიკაძე, პროექტი დასრულდა 07.11.2017)
2. თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრების სამუშაოების ოპტიმალური მართვის კომპიუტერული პროგრამების შედგენა და დანერგვა (პროექტის ხ-ლი - გ. ჭიკაძე, პროექტი დასრულდა 09.12.2017)
3. ეროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების რისკები, გამოწვევები და პერსპექტივები (პროექტის ხ-ლი - მ. ამირგულაშვილი, პროექტი დასრულდა 2017 წლის ბოლოს, პროექტის ფარგლებში მომზადდა რეკომენდაციები)
4. რუსეთ-საქართველოს თანამედროვე ურთიერთობების და პესპექტივები (პროექტის ხ-ლი - ე. გვენეტაძე, პროექტი დასრულდა 2017 წლის ბოლოს, პროექტის ფარგლებში მომზადდა რეკომენდაციები)
5. ხელშკრულების სტანდარტული პირობები (პროექტის ხ-ლი - ნ. ხუნაშვილი, პროექტი დასრულდა 2017 წლის ბოლოს, პროექტის ფარგლებში მომზადდა რეკომენდაციები)

6. კორუფცია და მისი პრევენციის საშუალებები (პროექტის ხ-ლი - ა. შეყლაშვილი, პროექტი დასრულდა 2017 წლის ბოლოს, გამოიცა მონოგრაფიის სახით)

აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის, ასევე სტუდენტების მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

1. „სოციალური კაპიტალის როლი საქართველოს წარმოშობის ბიზნესის მფლობელებისათვის თურქეთში და თურქეთის წარმოშობის ბიზნესის მფლობელებისათვის საქართველოში“ (ხ-ლი მ. თოქმაზიშვილი, ერთობლივი პროექტი თურქეთის რესპუბლიკის ევრაზიის უნივერსიტეტთან)
2. „ოფშორული პროგრამირების განვითარების პერსპექტივების კვლევა საქართველოში“ (ხ-ლი ნ. სამხარაძე, მონაწილე - გ. კაკაშვილი)
3. „ერთი სარტყელი ერთი გზა - ახალი ურთიერთობების დასაწყისი“ (ხ-ლი მ. ამირგულაშვილიშვილი, მონაწილე - თ. შურდულაია, სტუდენტი - თ. გოგოლი, ერთობლივი პროექტი ლანჭოუს უნივერსიტეტის პროფესორ გაო ვანთან)
4. „საქართველო - აბრეშუმის გზის ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის“ (ხ-ლი კ. ვეკუა, მონაწილე სტუდენტი - ლ. ბოლქვაძე, ერთობლივი პროექტი რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტთან)
5. „ჩინეთის პოლიტიკა გაეროს უშიშროების საბჭოში და გლობალური მშვიდობის პრობლემა“ (ხ-ლი გ. რცხილაძე, მონაწილე სტუდენტი - ნ. გოგიაშვილი, ს. ბიგვავა, თ. გორზამაული)
6. „სიძულვილის ენა ონლაინ მედიაში“ (ხ-ლი ნ. ონიანი, მონაწილე - ლ. გახელაძე, ვ. მკერვალიშვილი)
7. „კრიტიკული აზროვნება“ (ხ-ლი ს. მორალიშვილი, მონაწილე - ხ. შვარდნაძე, რ. ტყემელაშვილი, სტუდენტი - თ. გელაშვილი, ჟ. ვაზაგაშვილი)

8. „ელექტრონული კომერციის (e-commerce) სამართლებრივი რეგულირების პრობლემური ასპექტები“ (ხ-ლი ზ. გაბისონია, მონაწილე - ა. წულაძე, გ. ამილახვარი, დ. დოლიძე)
9. „სანივთო გარიგება“ (ხ-ლი ზ. ჭეჭელაშვილი)
10. "უფლების დაცვა ადმინისტრაციულ ორგანოში" (ხ-ლი ქ. ცხადაძე, მონაწილე - გ. კიკილაშვილი, გ. ლუაშვილი, სტუდენტი - თ. ქარცივაძე, ნ. გივიაშვილი, ი. იზორია)
11. მაღალმთიანი დასახლების საწარმოს შეღავათები და უფლებავალდებულებები (ხ-ლი ნ. კალანდაძე)
12. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საარჩევნო დავებთან დაკავშირებით“ (ხ-ლი ნ. პაპუკაშვილი, ქ. ცხადაძე, მონაწილე - გ. ლუაშვილი, სტუდენტი - ნ. დიასამიძე, მ. ძინძიბაძე, მ. ქათამაძე)
13. „არასრულწოვანთა მართლმსაჯულება“ (ხ-ლი ა. შეყლაშვილი, მონაწილე - ზ. გაბისონია, დ. წულაია)
14. „მომხმარებლის სამართლებრივი მდგომარეობა და მისი სამომავლო პერსპექტივები საქართველოში ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად“ (ხ-ლი ს. მენაბდიშვილი)
15. „შრომის ბაზრის კვლევა“ (ხ-ლი რ. კვარაცხელია, მონაწილე სტუდენტი - ნ. ქებაძე, ს. კარაპეტინი, ნ. ლამაზოშვილი, ნ. ჭაღალიძე)
16. „უცხოელ სტუდენტთა მხარდაჭერის კამპანია“ (ხ-ლი რ. კვარაცხელია, მონაწილე სტუდენტი - ნ. ლამაზოშვილი, ნ. ჭაღალიძე, თ. მამესწარაშვილი, ზ. ბიწკინაშვილი, ლ. ყურაშვილი, ნ. მელიქიშვილი, გ. ბოხუა, ლ. ვარდანიანი, ლ. კიკილასვილი)
17. „მოგების გადასახადის ესტონური მოდელი“ (ხ-ლი გ. ურიდია)
18. თურქული კომპანიების კვლევა საქართველოში (ხ-ლი რ. კვარაცხელია, მონაწილე სტუდენტი - ლ. ვარდანიანი, გ. გელაშვილი, ნ. მაჭარაშვილი)
19. „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, სასოფლო ტერიტორიების განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის

კვლევების საფუძველზე ნაშრომების მომზადება და მათი გამოცემა

- თანამედროვე გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში“ (ხ-ლი მ. ჯიბუტი, მონაწილე - ე. ჩიქოვანი)
20. „მცირე და საშუალო ბიზნესის რეგულირება საქართველოში: არსებული გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“ (ხ-ლი ე. კაკულია, მონაწილე სტუდენტი - გ. მაღანია)
21. „მცირე და საშუალო სასტუმროების ბაზრისმდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ (ხ-ლი მ. ალანია, მონაწილე - დ. ლომინაძე, სტუდენტი - მ. გორდეზიანი)
22. „თბილისის პარკირების სისტემაში არსებული პრობლემები და მისი მოწესრიგების პერსპექტივები“ (ხ-ლი გ. ესაკია, მონაწილე სტუდენტი - ნ. გობრონიძე, ლ. ზუბიაშვილი)

უნივერსიტეტს სუპერმარკეტების ქსელმა „გუდვილმა“ 2018 წლის 29 მაისს დაუკვეთა კვლევა - „სუპერმარკეტების მოხმარების და დამოკიდებულების კვლევა“. კვლევაში ჩაერთვებიან ბიზნესისა და ინჟინერიის, ასევე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი და სტუდენტები.

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის არჩილ შეყლაშვილი მიერ განხორციელებული კვლევის საფუძველზე მომზადდა და გამოიცა მონოგრაფია „კორუფცია და მისი პრევენციის საშუალებები“ (თბილისი იურისტების სამყარო, 2018, 100 გვ.)

უნივერსიტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალის მომზადება და გამოცემა

გამოიცა უნივერსიტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი. ჟურნალში დაიბეჭდა 14 სამეცნიერო ნაშრომი

კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ღონისძიებების ორგანიზება

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები როგორც თანამშრომელთათვის, ასევე სტუდენტებისათვის:
2017 წლის 20-22 დეკემბერს ჩატარდა ტრენინგი „ლიდერშიფი ყველასთვის.“ ტრენინგს ესწრებოდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

2017 წლის დეკემბერი, ტრენინგი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის - „საერთაშორისო ელექტრონული ბაზები“, განმახორციელებელი - მოწვეული ტრენერი საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საბიბლიოთეკო ქსელის, კონსორციუმის წარმომადგენელი მარია ჟორჟოლიანი.

2018 წლის 17 აპრილს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის გაიმართა 3 საფეხურიანი ტრენინგი თემაზე: „აქტიური სწავლება როგორც სწავლების თანამედროვე მეთოდი“, ტრენერი - ქეთევან ირემაშვილი.

ტრენინგის მეორე ნაწილი გაიმართა 28 ივნისს.

2017 წლი 26 ნოემბერი-26 დეკემბერი - სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგ-კურსები თემაზე „საჯარო გამოსვლების ხელოვნება“ (არასმთავრობო ორგანიზაცია სტეპი).

11-22.12.17 განხორციელდა გეგმიური შეხვედრები სტუდენტებთან, კურსებისა და საფეხურების მიხედვით. შეხვედრის მიზანი: კარიერული განვითარების, პროფესიული ზრდის საკითხების მიმოხილვა. პროფესიულ ორიენტაციასა და თვითგამორკვევაში დახმარება, პრიორიტეტების განსაზღვრა.

2018 წლის იანვარში თეა ჰასრათოვას მიერ განხორციელდა მაგისტრატურისთვის მოსამზადებელი კურსი.

2018 წლის 3 აპრილი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებული ტრენინგი სტუდენტებისათვის „რა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებას სწავლებისა და კვლევის პროცესში“, განმახორციელებელი - მზია ჯამაგიძე.

2018 წლის 20 აპრილს ჩატარდა ღია სემინარი “მოლაპარაკების ხელოვნება”. სემინარს გაუძღვა ალექსანდრე წულაძე.

სტიპენდიის დანიშვნა

2018 წლის 3 მაისს ჩატარდა ტრენინგი თემაზე: დამარწმუნებელი და ეფექტური კომუნიკაცია. CV-სა და სამოტივაციო წერილის შედგენის ტექნიკა. ტრენინგს ვლადიმერ მკერვალიშვილი გაუძღვა.

2018 წლის 18 მაისი-14 ივლისი, სამოქალაქო ქმედების სკოლის პროექტი ახალგაზრდა ინოვატორებს, ბრწყინვალე ლიდერებს, მომავალ პოლიტიკოსებს, პროექტის მიზანი - სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვა ეკონომიკის, სამართლის, გლობალური პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და შიდა პოლიტიკის საკითხებში. პროექტი ხორციელდება სამოქალაქო ქმედება™ და ევროპის საბჭოს კონგრესის, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მზარდაჭერით.

აკადემიური სტიპენდია სტაბილურად ენიშნებათ მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტებს. საანგარიშო პერიოდში აკადემიური სტიპენდია დაენიშნა 7 სტუდენტს, ასევე დაწესდა სოციალური სტიპენდია, რომელიც დაენიშნა 4 სტუდენტს

სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსება ექსკურსიების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად უნივერსიტეტის ფინანსური გეგმის შესაბამისად

გაიმართა საახალწლო წვეულება, პოეზიის საღამო, მოეწყო ექსკურსიები (კახეთისა და დაშბაშის კანიონის მიმართულებით), დაფინანსდა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების ჩატარება/მათში მონაწილეობა (მაგ.: ფუტბალში, სამჭიდსა და წოლჭიმში, ნარდსა და ჭადრაკში, მინი ფეხბურთში)

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა

სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, წელიწადში ერთხელ იმართება დასაქმების ფორუმი, ეწყობა შეხვედრები დამსაქმებლებთან. 2018 წელს ფორუმი ჩატარდა 30 აპრილს. ფორუმზე წარმოდგენილი იყო შემდეგი კომპანიები:

1. კომპანია „ბიბლუსი“
2. საქართველოს ფოსტა
3. Degusto - სოფო ლონდარიძე

4. მეგაკრედიტი
5. Benegroup
6. Linklogistic
7. Carfur Georgia
8. თბილისელები - ჟურნალი
9. სარკე - ჟურნალი
10. კულინარტი - ჟურნალი
11. გუდვილი
12. ბანკი კრედო
13. კომპანია ვაისი
14. ალდაგი
15. საქართველოს ბანკი
16. პრინტარეა
17. იურიდიული კომპანია LDL

უნივერსიტეტის ხელშეწყობით სტუდენტები შეხვდნენ სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლებს:

თარიღი	კომპანია	შენიშვნა
20 ნოემბერი 2017	კომპანია „ვაისი“	გასაუბრება გაიარა და სტაჟირება დაიწყო გაყიდვების აგენტის პოზიციაზე ოთხმა სტუდენტმა: მარიამ ტორჩინავა მარია ბაბაჯანაშვილი გიორგი ღვინჯილია ავთო გოგოლაძე
29 ნოემბერი 2017	ბანკი „კრედო“	შეირჩა 9 კანდიდატი გაყიდვების ოფიცრის რეზერვის პოზიციაზე: სოფო ადიკაშვილი

		<p>დათო მუშარბაძე გიორგი ბაციკაძე ელგა (ბარბარე) ბეჭვანია დალი (მარიამ) კვირიაშვილი გიორგი ღვინჯილია ლევან კალანდაძე ზაურ იბრაგიმოვი ბაქარ ბუკია. საბოლოოდ დასაქმდა 3 კანდიდატი.</p>
12 მარტი 2018	კომპანია „ლინქ ლოჯისტიკ“	<p>შერჩეული იქნა პირველი კურსის სტუდენტი ანრი ხახვიაშვილი, რომელიც გაივლის 3 თვიან სწავლებას, რის შემდეგაც დასაქმდება ამავე კომპანიაში.</p>
22 მარტი 2018	კომპანია „კარფური“	<p>სტუდენტებისთვის სხვადასხვა ტიპის ვაკანსიები იყო მიწოდებული: კონსულტანტი, მოლარე, საწყობის თანამშრომელი, პროფესიული მიმართულებები დროებითი სამსახური, კონსულტანტის დამხმარე. სააპლიკაციო ფორმა შეავსო ხუთმა სტუდენტმა: თეონა ხარძიანმა, ლილე კოპალიანმა, მარიამ დაბრუნდაშვილმა, ნინო მჭედლიძემ, ელმირა ძამამიამ.</p>
4 მაისი 2018	შეხვედრა „Hr.ge“-ს წარმომადგენ ლებთან	<p>მივიღეთ მოწვევა ამავე კომპანიის წარმომადგენელ დასაქმების ფორუმზე, რომელიც ჩატარდა 2018 წლის 8 მაისს, Courtyard Marriot -ში. ფორუმზე მონაწილეობა დამსაქმებელი კომპანიებისთვის თბილისის ღია უნივერსიტეტის წარდგენასა და მათთან სამომავლო მჭიდრო თანამშრომლობას</p>

უნივერსიტეტში საჯარო ლექციების მოწყობა

		ითვალისწინებს. ფორუმის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ და პირადად გასაუბრობოდნენ სხვადასხვა დამსაქმებელი კომპანიის წარმომადგენლებს.
23-25 მაისი 2018	კომპანია „სი-ეს-ელ ჯორჯია“	გასუბრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ორმა სტუდენტმა: ელგა (ბარაბრე) ბეჭვავიამ ლიკა ზუბიაშვილმა

დაიგეგმა და განხორციელდა შიდა სტაჟირების პროგრამა, სადაც სტუდენტებს მიეცეათ საშუალება, გაეცნოთ სტაჟირება მათთვის საინტერესო სფეროში. გამოცხადდა 4 ვაკანტური ადგილი აპრილი-მაისის თვეში: უწყეტი განათლების და კარიერული ზრდის ცენტრი (2 ადგილი)
პოზიცია: ხელმძღვანელის თანაშემწე
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (2 ადგილი)
პოზიცია: ბიბლიოთეკარის დამხმარე

გაცვლითი პროგრამით 2018 წლის 8 თებერვლიდან 28 მარტის ჩათვლით ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტი, ბერიკა შეთევკაური გაემგზავრა იტალიის ქალაქ გენუაში 6 კვირიან სტაჟირებაზე. ამავე სკოლის მაგისტრი ლელა ბოლქვაძე გაემგზავრება 2018 წლის სექტემბრიდან 1 წლიან ანაზღაურებად სტაჟირებაზე ჩინეთში.

2017 წლის 2 ნოემბერს გაიმართა მწერალ დათო ტურაშვილის საჯარო ლექცია, თემა - „ლიტერატურა“.

2017 წლის 11-17 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში, ჩატარდა საჯარო ლექცია ადამიანის უფლებების შესახებ, გაიმართა ფილმის ჩვენება, მოეწყო დისკურია-დებატები.

2017 წლის 30 ნოემბერს გაიმართა შეიარაღებული ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის მასტერ სერჟანტ ლევან ჯანგირაშვილს საჯარო ლექცია თემაზე „საქართველოს შეიარაღებული ძალების წვლილი სამშვიდობო მისიებში“.

2018 წლის 21 მარტს გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე „წიგნიერება“. ლექციას უძღვებოდა ქართველი პოეტი, პროზაიკოსი და ესეისტი, გიორგი კეკელიძე.

2018 წლის 17 აპრილს ეკატერინე ბაბუნაშვილის საჯარო ლექცია გაიმართა თემაზე „ემოციური ინტელექტი ლიდერობაში.“

2018 წლის 18 აპრილს მწერალ დათო ტურაშვილის საჯარო ლექცია გაიმართა. ლექცია 1989 წლის 9 აპრილს მიემდგვნა.

2018 წლის 19 აპრილს გაიმართა სემინარი/ლექცია "თქვენი შრომითი უფლებები", რომელსაც გაუძღვენ პროფესიული კავშირების იურისტები.

2018 წლის 26 აპრილს გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე „ლარიზაციის პროგრამა ქართულ საბანკო სამართალში, რომელსაც უძღვებოდა ზვიად გაბისონია.

2018 წლის 4 მაისი, საჯარო ლექცია „რა არის პლაგიატი - პლაგიატის გამოვლენის ფორმები და თავის არიდების გზები“, მომხსენებელი - მზია ჯამაგიძე.

პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად ფინანსური გეგმის განახლება

მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების მომზადება და მათი წარდგენა დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად

განახლდა ფინანსური გეგმა

1. წარდგენილია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსზე სოლომონ მენაბდიშვილის პროექტი „მომხმარებელთა უფლებების დაცვა საქართველოში ასოცირების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე“. (ფონდის დირექტორის ბრძანება #38 02.04.2018)
2. წარდგენილია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის

უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთობლივი საგრანტო პროექტი: „ ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო (საქართველოს მაგალითი) პროექტის ხელმძღვანელი,სამართლის დოქტორი ლელა ჯანაშვილი; თანახელმძღვანელი სამართლის დოქტორი, ნოდარ პაპუკაშვილი. (ფონდის დირექტორის ბრძანება #43 11.04.2018)

ტელეკომპანია „იმედის“ პროექტი „ნიჭიერის“ ფარგლებში პროექტის მონაწილეების გულშემატკივართა ოთახის დასპონსორება (შედეგად, პროექტის მიმდინარეობისას, ორთვე-ნახევრის განმავლობაში ყოველ გადაცემაში რამდენჯერმე ხდებოდა უნივერსიტეტის როგორც გულშემატკივართა ოთახის მხარდამჭერის გამოცხადება, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და სასწავლო პროცესის ამსახველი მოკლე საიმიჯო ვიდეორგოლების ჩვენება).

ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერით თვე-ნახევრის განმავლობაში უნივერსიტეტის საიმიჯო სარეკლამო რგოლის ჩვენება.

„ტვე პირველის“, „იბერიას“, „რუსთავი 2-ის“ სატელევიზიო ეთერით უნივერსიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღონისძიებების სისტემატიურად გაშუქება.

შეხვედრები თბილისის და რეგიონების საჯარო სკოლის მე-12 კლასელებთან (ნოემბერი-იანვარი) და მათთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტის შესახებ.

სოციალურ კამპანიაში ჩართულობა (შიდსთან ბრძოლის დღეს, 1 დეკემბერს, უნივერსიტეტმა სისხლის ბანკის წარმომადგენლებს უმასპინძლა- სტუდენტებმა, აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა უანგარო დონორობის აქციაში მიიღო მონაწილეობა; საახალწლოდ უნივერსიტეტის სტუდენტები მრავალშვილიან ოჯახს

სხვა აქტივობები

ესტუმრნენ, 1 ივნისს კი მათ დღის ცენტრ „ახალი ნაბიჯების“ აღსაზრდელებს გაუწიეს მატერიალური დახმარება; მათში უნივერსიტეტი შეუერთდა Wings for life works run 2018-ს - ყველაზე მასშტაბურ საქველმოქმედო ღონისძიებას მსოფლიო სპორტის ისტორიაში)

სამართლის სკოლა გახდა თანადამფუძნებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტთან და პოლონეთის ვარმიისა და მაზურის უნივერსიტეტი ოლშტინში იურიდიულ ფაკულტეტთან ერთად საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის - პოლონურ-ქართული სამართლის მიმოხილვის. ამასთან, ჟურნალის მიმდინარე ნომერში (რომელიც განთავსებულია ტომპსონის საერთაშორისო ელექტრონულ ბაზაში) გამოქვეყნდა სამართლის სკოლის პროფ. ზ. გაბისონიას და ას. პროფ. გ. ამილახვარის სამეცნიერო პუბლიკაციები ინგლისურ ენაზე.

მედიცინის სკოლამ წარმატებით გაიარა რეგისტრაცია ინდოეთის სამედიცინო საბჭოში (MEDICAL COUNCIL INDIA), რაც გულისხმობს, რომ მედიცინის პროგრამა აკმაყოფილებს ამ ქვეყნის სტანდარტს და მისი დიპლომის აღიარება შესაძლებელია ამ ქვეყანაში.

მედიცინის სკოლის რეგისტრაცია მოხდა მედიცინის სკოლების მსოფლიო ცნობარში (WORLD DIRECTORY OF MEDICAL SCHOOLS), რაც მიუთითებს მედიცინის პროგრამების და მისი შემადგენელი კომპონენტების სტანდარტის თანხვედრას მსოფლიო სტანდარტთან.